

ფინანსური ანგარიშგება

01.01.2021 -31.12.2021

შპს სმარტ უნიონი

ბათუმი

09.28.2022

შპს სმარტ უნიონ-ი 445515087 რეგისტრირებულია საქართველოში 31.08.2017 წელს რეგისტრაციის მისამართი ბათუმი ხიხანის ქუჩა N19. კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია იონა წითელაძე, იგი ასევე არის კომპანიის დირექტორი და მართავს მას.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტრო-მექანიკური სამონტაჟო საქმიანობა, კომპანია ცალკეული ხელშეკრულებების ფარგლებში ასევე აწვდის სხვადასხვა სამშენებლო სერვისებს. კომპანიის ძირითადი მაპროფილებელი საქმიანობაა ლიფტების მიწოდება მონტაჟი, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების მიწოდება მონტაჟი, შიდა ელექტრი მექანიკური სამუშაოების პროექტირება, საკონსულტაციო მომსახურება და მცირე ზომის შენობა ნაგებობების მშენებლობა. კომპანია მარაგების შევსებას ახორციელებს იმპორტირებით და მისი ძირითადი მომწოდებელია თურქული და ჩინური კომპანიები.

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი.

შესავალი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ შეადგინა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის მონაცემებზე დაყრდნობით, აღსანიშნავია, რომ მითითებულ საანგარიშგებო პერიოდში მიუხედავად ქვეყანაში არსებული პოს პანდემიური კრიზისისა შეძლო კომპანიის გამართული საქმიანობისათვის საჭირო აუცილებელი პირობების შექმნა, ანგარიშგების წარდგენის მომენტისათვის კომპანია საქმიანობს შეუფერხებლად.

1. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. წარმოდგენილ 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 90,904 ლარს დარიცხული ამორტიზაციის გათვალისწინებით. რაც შედგება საქმიანობაში გამოსაყენებელი ინვენტარის, ავეჯისა და კომპიუტერული მოწყობილობებისაგან. ანგარიშგების წარდგენის მომენტისათვის კომპანიას ასევე ერიცხება დაუმთავრებელი მშენებლობის სახით შენობა ნაგებობა რომელსაც შემდგომში გამოიყენებს საქმიანობაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში მისგან ეკონომიკური სარგებელი. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა და ზარალში.

2. მარაგები

კომპანია მარაგების აღრიცხვას ახორციელებს თვლირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯები. კომპანია სარეალიზაციოდ განკუთვნილი პროდუქციის შესყიდვას ახორციელებს კონკრეტული შეკვეთის საფუძველზე, ამიტომ მარაგების ანგარიშზე აღრიცხავს მხოლოდ სამონტაჟო სამუშაოებში დამხმარე მასალად გამოსაყენებელ და ნარჩენ პროდუქციას.

3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია გაყიდვებისათვის იყენებს როგორც წინასწარი გადახდის ასევე საკრედიტო მიწოდების პირობას და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. ჰყავს დებიტორები თუმცა 2021 წლის ბოლოს კომპანიას არ მოუხდენია დებიტორული დავალიანების გაუფასურებაზე შემოწმება.

4. სავაჭრო ვალდებულებები

საწარმო მომწოდებლებთან ურთიერთობისას ახორციელებს როგორც ავანსად გადახდილი თანხით საქონლის შესყიდვას ასევე სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება. საწარმო ყოველი წლის ბოლოს ახორციელებს საკრედიტო ნაშთის გადაფასებას ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით და მისგან გამოწვეული სხვაობა აისახება წლის მოგებასა და ზარალში.

5. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას სასესხო ვალდებულება არ ერიცხება. იგი იყენებს საბანკო საგარანტიო წერილს რაზედაც დარიცხული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გამოყენებულ იქნა.

6. ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან ან გაწეული მომსახურებიდან მაშინ აღიარდება როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ანგარიშსწორება მომხმარებლებთან ხდება როგორც გაყიდვისთანავე ასევე შემდგომი გადახდისა და ავანსად მიღებული თანხის პრინციპით.

7. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძვნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიას 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში აღნოშნული ოპერაცია არ განუხორციელებია.

8. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი

2021 წელს ფულადი მუხლების გადაფასებით მიღებულმა ნეტო მოგებამ შეადგინა 12,350 ლარი.

2020 წელს ფულადი მუხლების გადაფასებით მიღებულმა ნეტო ზარალმა შეადგინა 1876 ლარი.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	1340456	1160039
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	1340456	1160039
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-705714	-744853
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	634742	415186
სხვა საოპერაციო შემოსავალი	22332	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-415452	-252039
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-15986	-25447
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-9521	0
იჯარის ხარჯი	-12728	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-102437	-135807
სულ საოპერაციო ხარჯები	-533792	-413293
საოპერაციო მოგება	100950	1893
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		
განგრძობითი ოპერაციებიდან	100950	1893
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	100950	1893
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	100950	1893
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-19836	-21729
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	112639	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	193753	-19836

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	77235	223876
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	93977	458860
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2877458	24389
მარაგები	1222717	348100
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	95068	90904
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	4366455	1146129
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	4172702	1101423
ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	64206
საგადასახადო ვალდებულებები	0	336
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	4172702	1165965
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	116	116
საემისიო შემოსავალი	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	193637	-19952
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	193753	-19836
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4366455	1146129
სულ მოკლევადიანი აქტივები	4366455	1146129
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4366455	1146129

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	5916253	1767878
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-6062894	-1555203
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-146641	212675
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	-1876
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	223876	13077
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	77235	223876

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდგომ კომპანიამ შეცვალა ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკა, თანამშრომლად დაიქირავა ბუღალტერი და გარე მომსახურების სერვისი დააბრუნა კომპანიაში. .

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის იონა წითელაძის მიერ 2022 წლის 28 სექტემბერს.

ანგარიშსწორების შევსებაზე პასუხისმგებელი პირები:

ბუღალტერი: ქეთი ჩხაიძე

ბუღალტერი: მარინე წითელაძე-მოსიძე